

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სავალდებულო სატენდერო შეთავაზების თაობაზე

ქ. თბილისი

03.08.2017წ.

წინამდებარე სავალდებულო სატენდერო შეთავაზება სს „კაუკაზუს ენერჯი ენდ ინფრასტრუქჩა“-ს (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი, №74, ს/კ: 205209059) (შემდგომში - „სააქციო საზოგადოება“) აქციათა ყიდვის თაობაზე კეთდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53^ე მუხლის შესაბამისად, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს, შპს „სოფი 2017“-ის (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი. ჭავჭავაძის გამზ., N 74, სართ. 9; ს/კ: 405194677) წარმოდგენილი დირექტორის ნატალია მამიაშვილის სახით (შემდგომში - „შემთავაზებელი“) მიერ სააქციო საზოგადოების 8,190,810 ცალი ჩვეულებრივი აქციის შექმნა, რის შედეგადაც შემთავაზებლის ხელში აღმოჩნდა სააქციო საზოგადოების განთავსებული აქციების 57.36%. ამასთან, აღვნიშნავთ, რომ „შემთავაზებლის“ დაკავშირებულ პირები „სააქციო საზოგადოებაში“ დამატებით ფლობენ 6016242 ცალ ჩვეულებრივ აქციას, რაც ჯამში, „შემთავაზებლის“ საკუთრებაში არსებულ აქციებთან ერთად, შეადგენს „სააქციო საზოგადოების“ განთავსებული აქციების 99.49%.

გამოსყიდვის პირობები და პროცედურები:

- “შემთავაზებელი” ამჟამად ფლობს სააქციო საზოგადოების მიერ გამოშვებულ 8,190,810 (რვა მილიონ ასოთხმოცდაათი ათას რვაას ათი) ცალ ჩვეულებრივ აქციას, რაც ერთობლივად შეადგენს სააქციო საზოგადოების განთავსებული აქციების 57.36%-ს და სურს გამოისყიდოს სააქციო საზოგადოების ყველა დარჩენილი 6,088,354 (ექვსი მილიონ ოთხმოცდარვა ათას სამას ორმოცდაათოთხმეტი) ცალი ჩვეულებრივი აქცია, რომელიც შეადგენს სააქციო საზოგადოების განთავსებული აქციების 42.64%-ს;
- სააქციო საზოგადოების ერთი ცალი ჩვეულებრივი აქციის გამოსასყიდი ფასი შეადგენს 1.3 ქართულ ლარს (სიტყვიერად: ერთი ქართული ლარი და ოცდაათი თეთრი) (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით). გამოსასყიდი ფასი სავალდებულო სატენდერო შეთავაზების მიზნებისთვის დადგენილია საბროკერო კომპანია - სს „გალტ ენდ თაგარტი“-ის (ს/კ: 211359206) მიერ და აქვე აღსანიშნავია, რომ შეთავაზებული გამოსასყიდი ფასი არ არის იმ უმაღლეს ფასზე ნაკლები, რომელიც გამოსყიდვის განმახორციელებელმა “შემთავაზებელმა” ბოლო 6 თვის განმავლობაში გადაიხადა სააქციო საზოგადოების ჩვეულებრივ აქციებში;
- სავალდებულო სატენდერო შეთავაზება გამოქვეყნებულ იქნება არაუგვიანეს 2017 წლის 10 აგვისტოს;
- სავალდებულო სატენდერო შეთავაზება გაგრძელდება 2017 წლის 10 აგვისტოდან, დღის 10:00 სთ. 2017 წლის 20 ოქტომბრის 18:00 სთ-ს ჩათვლით. განცხადებები მიიღება იმავე ვადაში;
- შემთავაზებელი სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში განიხილავს მიღებულ განაცხადებს და იღებს გადაწყვეტილებას შესყიდვაზე ამავე ვადაში;
- სააქციო საზოგადოების გამოშვებული აქციების დარჩენილი 42.64%-ის ანუ 6,088,354 (ექვსი მილიონ ოთხმოცდარვა ათას სამას ორმოცდაათოთხმეტი) ცალი ჩვეულებრივი აქციის სრულად გაყიდვის თანხმობათა არსებობის შემთხვევაში, “შემთავაზებელი” გამოსყიდის აქციათა სრულ რაოდენობას;
- სავალდებულო სატენდერო შეთავაზების რომელიმე პირობის შეცვლის შემთხვევაში, გაკეთდება შეთავაზების განცხადების განახლებული ვერსია და გავრცელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- შესყიდვა განხორციელდება სავალდებულო სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლის შემდეგ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში;
- სააქციო საზოგადოების აქციონერთაგან აქციების გაყიდვაზე განაცხადების შეგროვებას განახორციელებს შეთავაზების აგენტი - სს „კავკასრესტრი“ (ს/კ: 211369115; ლიცენზიის N 70002). ფაქტობრივი მისამართი: თბილისი, 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 71, მე-10 ბლოკი, მე-7 სართული; საკონტაქტო ტელ: 2500 211
- „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 53^ე მუხლის შესაბამისად, შესაძენ აქციათა გამოსასყიდი ფასის შეფასების ანგარიშის გაცნობა სააქციო საზოგადოების აქციონერებს შეუძლიათ სააქციო საზოგადოების ოფისში; მისამართი: ჭავჭავაძის გამზ. 74, მე-9 სართული, თბილისი 0162, საქართველო, საკონტაქტო ტელ: (995 32) 223 4994. შესაძენ აქციათა გამოსასყიდი ფასის შეფასების ანგარიში აგრეთვე განთავსდება სააქციო საზოგადოების ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.cei.ge

შემთავაზებელი:

შპს „სოფი 2017“

დირექტორი,

ნატალია მამიაშვილი

